ხელშეკრულების დადების საფუძველია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი

წარმომადგენლობითი ხარჯები

ხელშეკრულება # 45

ქ. ახალქალაქი 2019 წლის 12 აპრილი

ერთის მხრივ, **ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია**, **იურიკ უნანიანის** სახით ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერი, ქ. ახალქალაქი, ჩარენცის ქ. # 11, (შემდგომში -შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, **ი/მ "იური ხაჩატურიან", იური ხაჩატურიანის სახით, ქ. ახალქალაქი აღმაშენებლია ქ. 38/2, ს/კოდი: 07001009351** (შემდგომში - მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1 "შემსყიდველი" ყიდულობს: **55300000-რესტორნებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურებები, (წარმომადგენლობითი ხარჯები კვებისთვის, საქართველოს პრეზიდენტისა და მისი თანმხლები პირების სტუმრობისას ახალქალაქში, 15 კაცზე - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერის 12/04/19წ. ბრძანება # 806 13).**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 საორიენტირო თანხობრივი ღირებულება შეადგენს **690 (ექვსას ოთხმოცდაათი)** ლარს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს (შემსყიდველის მიერ შექმნილი კომისია) უფლება აქვს ნებისმიერ ეტაპზე გააკონტროლოს მიმწოდებლის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება, ასევე გაატაროს პერიოდული ინსპექტირება მომსახურეობის სახით.

3.2 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

4. ხელშეკრულების შესრულების პირობები

4.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ხელშეკრულებაში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

4.2 მომსახურეობის გაწევის ვადა: **ხელმოწერისთანავე - 2019 წლის 14 აპრილის ჩათვლით.**

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

ა. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: გადარიცხვა, აუცილებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ (საგადასახადო ანგარიშ ფაქტურის ან სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადები, მიღება-ჩაბარების აქტი), 10 დღის ვადაში.

ბ. საბოლოო ანგარიშსწორების ვადა: **ცალ-ცალკე ყველა ღონისძიებაზე შესრულებული მომსახურეობის მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.**

6. ფასები

6.1 ხელშეკრულებაში მითითებული ფასების შეცვლა არ დაიშვება.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ასევე შემსყიდველი არ არის ვალდებული წარადგინოს მტკიცებულება იმ გარემოებაზე, რასთან დაკავშირებითაც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

10.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულების ვადების დაგვიანების შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა)თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო;

ბ)თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ)მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

დ)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით დაარეგულირონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. გამოყენებული სამართალი

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. გადასახადები და დაბეგვრა

15.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

16.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ხელშეკრულება მოქმედებს ზემოაღნიშნული თარიღიდან **2019 წლის 14 მაისის ჩათვლით.**

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია ქ. ახალქალაქი, ჩარენცის ქ., # 11 საიდენტ. კოდი 223366122 ქ. თბილისი, ,,სახელმწიფო ხაზინა'' ბანკის კოდი: TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022 Digitally signed by akhalkalaki municipality Date: 2019.04.18 10:25:15 +04'00' შემსყიდველი“ – მერი _____/ იუ. უნანიან /	ი/მ “იური ხაჩატურიან” ქ. ახალქალაქი, აღმაშენებელი ქ. 38/2 საიდენტიფიკაციო # 07001009351 სს “თიბისი ბანკი” ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიში: GE89TB7480445165100001 “მიმწოდებელი” - Yuri Khachaturyan Подписано цифровой подписью: Yuri Khachaturyan Дата: 2019.04.18 21:31:49 +03'00' _____/იუ. ხაჩატურიან/

2019 წლის 12 აპრილის 45 ხელშეკრულების ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ახალქალაქი **2019 წლის 12 აპრილი**

მე, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერი ვადასტურებ, რომ **,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ**" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და **,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ"** სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად** არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში **ი/მ "იური ხაჩატურიან"-ისთან**.

მერი **იუ. უნანიან**